ეს შენ გეხება
Auction
2014
სამოქალაქო კამპანიებისა
და ადვოკატირების წელი
ჩვენ
ვირჩევთ
ევრ
SCHENG
MULT
Wide ne
პარლამენტი

სარჩევი

4 **აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა**

4 **ჩვენ შესახებ**

7 **ჩვენი საქმიანობა**
- მედიის საკითხები
- სამართლებრივი დახმარების ცენტრი
- სასამართლო დამოუკიდებლობის გაძლიერების პროგრამა
- ეროვნული ანტიკორუფციული სისტემა
- საბიუჯეტო გამჭვირვალობის ხელშეწყობა (და საჯარო ფინანსების ხარჯვის მონიტორინგი)
- საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დაცვა
- პარლამენტის მონიტორინგი და ჩვენი საკანონმდებლო მუშაობა
- ჯანსაღი საარჩევნო გარემო
- ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2014
- საჯარო სამსახური
- მოქალაქეთა ჯანდაცვის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება

37 **ჩვენი ვებგვერდები**
- საპარლამენტო მონიტორინგის ვებგვერდი: ChemiParlamenti.ge
- სახელმწიფო შესყიდვები ტენდერების მონიტორინგი: Tendermonitor.ge; CompanyInfo.ge
- მნიშვნელოვანი სიახლეები რეგიონებიდან: BeyondTbilisi.ge
- ერთად შევაკეთოთ ქალაქის ქუჩები: ChemiKucha.ge

47 **ჩვენი კამპანიები**
- “ეს შენ გეხება,ისევ გვისმენენ”
- “ჩვენ ვირჩევთ ევროპას”

53 **ჩვენი რეგიონული ოფისები**
- ზუგდიდი
- ბათუმი
- ქუთაისი

63 **ჩვენ მედიაში**

69 **კარიერა**

71 **2014 წლის დონორები**

74 **ფინანსური მონაცემები**

2014

წელი სამოქალაქო კამპანიებისა და ადვოკატირების წელი იყო

აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა

გასული წელი მნიშვნელოვანი იყო სამოქალაქო საზოგადოებისთვის, რადგან ამ წელს კიდევ უფრო თვალნათლივ გამოჩნდა, თუ როგორ შეუძლიათ აქტიურ მოქალაქეებს განსაზღვრონ საჯარო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებები და წვლილი შეიტანონ დღის წესრიგის შედგენაში. განსაკუთრებით ეფექტური იყო არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით წამოწყებული კამპანიები: „ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ“ და „ჩვენ ვირჩევთ ევროპას“. ამ კამპანიებით შევეცადეთ საზოგადოება მნიშვნელოვანი ღირებულების გარშემო გაგვეერთიანებინა. „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ კი წარმოადგენდა მიუკერძოებელ ხმას სასამართლო რეფორმის განხორციელების კვალდაკვალ.

2014 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებიდან გამოვყოფდი:

ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას: საქართველომ წელს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა.

ფარული მოსმენების მარეგულირებელი კანონმდებლობის გადახედვას: უკანონო ფარული მოსმენების წინააღმდეგ წამოწყებულმა ჩვენმა კამპანიამ საზოგადოებას იმ საფრთხეების შესახებ შეატყობინა, რაც მათი პირადი ცხოვრების უფლებას ყოველდღიურად ექმნება. ჩვენ შევიმუშავეთ პროგრესული ცვლილებები, რომელთა ნაწილი პარლამენტმა გაიზიარა და 1 აგვისტოს მიიღო. პრობლემურია, რომ ნოემბრის ბოლოს პარლამენტმა მიიჩნია, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა კვლავაც უნდა შეინარჩუნონ პირდაპირი წვდომა მოქალაქეების სატელეფონო და ინტერნეტ კომუნიკაციაზე, რისი დაუშვებლობის დამტკიცებასაც კამპანია ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ საკონსტიტუციო სასამართლოში ეცდება.

თვითმმართველობის არჩევნებს: 2014 წლის არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა, თუმცა მას წინ უძღოდა ერთიანი ოპოზიციის კანდიდატებსა და აქტივისტებზე ზეწოლა და, რიგ შემთხვევებში, დაკავებაც კი. საარჩევნო სისტემის რეფორმის შემდგომ ეტაპზე მნიშვნელოვანი იქნება, კარგად გავიაზროთ ყველა ინსტიტუციური სისუსტე თუ პრაქტიკული ხარვეზი, რათა ბოლომდე სამართლიანი და კონკურენტული საარჩევნო სისტემა მივიღოთ, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს უფრო მეტად წარმომადგენლობით არჩევით ორგანოებს და ინსტიტუტებს.

საჯარო სამსახურში მიმდინარე პროცესებს: წლის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა საჯარო სამსახურებიდან ადამიანების უკანონო დათხოვები და თანამდებობის პირთა პრემიები იყო. მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ინტერესთა კონფლიქტისა და ნეპოტიზმის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და მონიტორინგი, რის ადვოკატირებასაც ჩვენი ორგანიზაცია მომავალ წელს აქტიურად აპირებს.

2014 წელს ჩვენი ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკის შემუშავების პროცესში როგორც დამოუკიდებლად, ისე - სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების ფარგლებში. წლის განმავლობაში ჩვენი რეკომენდაციები გაითვალისწინა არაერთმა სამინისტრომ, მუნიციპალიტეტმა და სხვა საჯარო დაწესებულებამ.

2014 წელი გამორჩეული იყო პარლამენტთან თანამშრომლობის მხრივაც. თუმცა, სამწუხაროა, რომ იმ საკითხებზე, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებას აღელვებს, მხოლოდ ცალკეული დეპუტატები საუბრობენ და ეხმაურებიან.

სამოქალაქო სექტორი მომავალ წელსაც აქტიურად მიიღებს მონაწილეობას ქვეყნის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ყველა პროცესში.

ჩვენ შესახებ

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2000 წლიდან ეწევა აქტიურ საქმიანობას. ის საერთაშორისო გამჭვირვალობის მოძრაობის ერთერთი ეროვნული ბიუროა. თავის მხრივ, საერთაშორისო გამჭვირვალობა წარმოადგენს ერთადერთ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც იბრძვის მსოფლიოში კორუფციის წინააღმდეგ. საერთაშორისო გამჭვირვალობა ბერლინში მდებარე სამდივნოს და 90-ზე მეტი დამოუკიდებელი ეროვნული ბიუროს მეშვეობით მოღვაწეობს ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

საერთაშორისო გამჭვირვალობა ავრცელებს ცოდნას კორუფციის მავნე შედეგების შესახებ, ახორციელებს რეფორმების ადვოკატირებას, მუშაობს მრავალმხრივი კონვენციების იმპლემენტაციის კუთხით და მონიტორინგს უწევს მთავრობების მიერ მათ შესრულებას.

ეროვნულ დონეზე საერთაშორისო გამჭვირვალობის ბიუროები ემსახურებიან ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ზრდას, ახდენენ ქვეყანაში არსებული მთავარი ინსტიტუტების მონიტორინგს და კორუფციის აღმოსაფხვრელად საჭირო რეფორმებს ადვოკატირებენ. ორგანიზაციის მთავარი პრინციპია, არ მიემხროს არც ერთ პოლიტიკურ ძალას.

მინიჭებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება - ასე განმარტავს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ კორუფციას.

ორგანიზაცია თვლის, რომ კორუფციის პრევენცია უფრო ეფექტურია, ვიდრე უკვე არსებულ კორუფციასთან ბრძოლა, ამიტომ ისეთი სფეროების მონიტორინგს აწარმოებს, სადაც კორუფციის რისკები მეტია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ 2004 წელს 8 თანამშრომელი ჰყავდა. 2006 წელს თანამშრომლების რაოდენობა 13-მდე გაიზარდა. 2013 წლიდან „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ 50-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავს და აქვს ოფისები აქვს რეგიონებში: ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ცდილობს ხელი შეუწყოს კორუფციული გარიგებების უფრო ეფექტურ პრევენციას, აღმოჩენას და აღმოჩენ-ის შემთხვევაში მათ გამომზეურებას. ორგანიზაციის მიზანია, საჯარო მოხელეებისთვის შეუძლებელი გახადოს მინიჭებული უფლებამოსილებების პირადი ინტერესებისთვის გამოყენება.

ორგანიზაციის მისიაა, დაეხმაროს მთავრობასა და ზოგადად საზოგადოებას იმ სექტორთა რეფორმი-რების პროცესის წინ წაწევაში, სადაც დღეს კორუფცია ჯერ კიდევ არსებობს; ააშენოს და გააძლიეროს ინსტიტუტები და ხელი შეუწყოს კარგ მმართველობას.

ბოლო წლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ გახდა ადვოკატირებაზე დაფუძნებული წამყვანი არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაცია საქართველოში. ორგანიზაცია ცდილობს საკუთარი მიგნებების შესახებ რაც შეიძლება მეტ ადამიანს გააგებინოს, რადგან ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ სამოქალაქო ჩართულობა და მოქალაქეების ცნობიერების გაზრდა ქვეყანაში ცვლილებების განხორციელების აუცილებელი წინა-პირობაა. ასევე, ორგანიზაცია ცდილობს ფეხი აუწყოს თანამედროვე ტექნოლოგიებს და აქტიურად იყენებს ინოვაციურ მიდგომებს საკუთარ საქმიანობაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ თავისი საქმიანობით ცდილობს საქართველო გახდეს ქვეყანა, სადაც მოქალაქეები პოლიტიკის შექმნაში მიიღებენ მონაწილეობას, სადაც მთავრობისა და ბიზნესის გამჭვირვალედ და ღიად მუშაობა ჩვეულებ-რივი ყოველდღიურობა იქნება და სადაც კორუფციის შემთხვევები არც ერთ დონეზე არ იარსებებს.

საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

ჩვენი საქმიანობა

მედიის საკითხები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მედიის გუნდი მონიტორინგს უწევს მედიისა და სატელეკომუნიკაციო სექტორის საქმიანობას. ჩვენ რეგულარულად ვაქვეყნებთ კვლევებს მაუწყებელთა მფლობელების, სარეკლამო ბაზრის განვითარების, საზოგადოებრივი მაუწყებლის, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობისა და სხვა საკითხების შესახებ. ვმონაწილეობთ მედიასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებასა და ანალიზში. ასევე, ვატარებთ ტრენინგებს ჟურნალისტებისთვის ღია მონაცემების ბაზების გამოყენების კუთხით და მონიტორინგს ვუწევთ საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესს.

2014 წლის განმავლობაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მედია გუნდმა რამდენიმე რეგიონული მედია საშუალებისათვის ტრენინგი ჩაატარა ღია მონაცემებთან დაკავშირებით, რაზე დაყრდნობითაც ამ მედიასაშაულებებმა არა ერთი მასალა მოამზადეს. ჩვენ აქტიურად ვახორციელებდით კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების შერჩევისა და დანიშვნის პროცესის მონიტორინგს. მედია გუნდის მიერ მოხდა შინაგან საქმეთა სამინისტროს უშიშროების საკითხებში ოფიცრების იდენტიფიცერება, რომლებიც პარალელურად მუშაობენ სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში, მათ შორის კომუნიკაციების კომისიასა და საზოგადოებრივ მაუწყებელში, რითაც ხელყოფენ ამ ორგანიზაციების დამოუკიდებლობას.

მედია გუნდის ორგანიზებით საფუძველი ჩაეყარა სისტემატური შეხვედრების პლატფორმას - “Media Breakfast”, რომლის ფარგლებშიც მაუწყებელთა მფლობელები და ხელმძღვანელი პირები განიხილავენ მედია სფეროში არსებულ პრობლემურ საკითხებს.

ჩვენ გაგიწევთ უფასო იურიდიულ დახმარებას

უფასო იურიდიული დახმარებისა და ადვოკატირების ცენტრი უზრუნველყოფს უფასო იურიდიული კონსულტაციებსა და სასამართლო წარმომადგენლობას იმ პირებისთვის, ვისაც არ აქვს შესაძლებლობა იყოლიოს ადვოკატი. ცენტრები ფუნქციონირებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ წარმომადგენლობებში თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში. თუმცა, ჩვენი იურისტები მოქალაქეებს მობილური კლინიკების მეშვეობით ოფისს გარეთაც, სოფლებსა და დაბებშიც ეხმარებიან. მობილური კლინიკა გულისხმობს ორგანიზაციის იურისტების ვიზიტს იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობა მასიურად გარკვეული სამართლებრივი პრობლემის წინაშე დგას. ხშირად ასეთი პრობლემები საკუთრების უფლებას ეხება. ჩვენი ორგანიზაცია ძირითადად ორი ტიპის დახმარებას ახორციელებს, საკუთრების უფლების დაცვა და საჯარო მოხელეთა უკანონო გათავისუფლების შემთხვევებზე რეაგირება. 2014 წლის განმავლობაში ჩვენმა ორგანიზაციამ 14 მობილური კლინიკა განახორციელა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ამ პერიოდში ჩვენმა იურისტებმა 19 მუნიციპალიტეტში განახორციელეს ვიზიტი და კონსულტაცია გაუწიეს დაახლოებით 100-ზე მეტ ადამიანს.

2014 წელს ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამართლებრივი დახმარების ცენტრმა 45 სასამართლო საქმიდან 40 წარმატებით დაასრულა. სასამართლოში მიმდინარე საქმეები შეეხებოდა მოქალაქეთა სხვადასხვა სახის დარღვეული უფლების აღდგენის საკითხებს. დავების შედეგად 40 შემთხვევაში ჩვენმა ბენეფიციარებმა სრულად აღიდგინეს დარღვეული უფლებები. 2014 წლის მანძილზე ჩვენმა იურიდიული დახმარების ცენტრმა ჯამში 420 ადამიანს გაუწია სხვადასხვა სახის იურიდიული დახმარება. გარდა ამისა 2014 წელს წარმატებით დასრულდა 2 სტრატეგიული დავა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში უცხელებისთვის მიწის შეძენაზე დაწესებული დისკრიმინაციული შეზღუდვების წინააღმდეგ და საქართველოს საერთო სასამართლოთა სისტემაში ფინანსთა მინისტრის ბრძანების წინააღმდეგ, რომელიც კერძო გადამზიდავი კომპანიების ინტერესებს უსაფუძვლოდ ზღუდავდა და მათ საქმიანობას ბაზარზე მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა.

ყველას ვისაც მიაჩნია, რომ აქვს სახელმწიფოს მიერ გამოწვეული პრობლემა საკუთრების უფლების ხელყოფის კუთხით ან თვლის, რომ უსამართლოდ გაათავისუფლეს საჯარო სამსახურიდან, შეუძლია დაუკავშირდეს ჩვენს უფასო იურიდიული დახმარებისა და ადვოკატირების ცენტრებს: თბილისი: (995 32) 260 15 08, ქუთაისი: (995 431) 29 26 54, ბათუმი: (995 422) 29 44 88, ზუგდიდი: (995 415) 22 37 20.

სასამართლო დამოუკიდებლობის გაძლიერების პროგრამა

ჩვენი ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს სასამართლო სისტემის რეფორმირებისა, მისი ეფექტურობის ზრდისა და დამოუკიდებლობის გარანტიების გაძლიერების კუთხით. ჩვენ ვაწარმოებთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგს, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოს მუშაობაში არსებული ხარვეზების გამოვლენას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

2014 წლის ბოლომდე ორგანიზაციამ 3 ანგარიში გამოსცა, რომელიც დეტალურად აღწერს არსებულ პრობლემებს როგორც ინსტიტუციური ჩარჩოს ასევე პრაქტიკის კუთხით. შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა ნაწილი დღეს უკვე გაზიარებულია და შემოღებულია, როგორც სავალდებულო წესი.

უკვე 3 წელია ჩვენი ორგანიზაცია აკვირდება ადმინისტრაციულ საქმეებს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ხელვაჩაურის, გორისა და ზუგდიდის სასამართლოებში. მონიტორინგის მიზანია მიმდინარე პროცესუალური ხარვეზებისა თუ დარღვევების გამოვლენა, მხარეთა თანასწორობისა და მიუკერძოებლობის მონიტორინგი, შემდგომში რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. 2012 წლიდან ჩვენი ორგანიზაცია ახორციელებს გახმაურებული სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგად ჩვენი ორგანიზაცია საჯარო წარმოადგენს მაქსიმალურ ინფორმაციას დარბაზში განვითარებულ მოვლენებზე, ასევე ახდენს მიღებული საპროცესო გადაწყვეტილებებისა და მხარეთა პოზიციების შეფასებას. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენმა ორგანიზაციამ ადმინისტრაციული საქმეების მონიტორინგის მიგნებებზე 4 ანგარიში გამოქვეყნა, გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ კი ორი ანგარიშია გამოქვეყნებული.

2012 წლიდან ჩვენი ორგანიზაცია პარტნიორებთან ერთად ახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგსაც. 2014 წელს 2 ანგარიში გამოქვეყნდა, რომელიც დეტალურად ასახავს საბჭოში მიმდინარე პროცესებს, საქმიანობის ხარვეზებსა და მიღწეულ გაუმჯობესებებს. ანგარიშის დიდი ნაწილი კონკრეტულ რეკომენდაციებს მოიცავს.

ჩვენი ორგანიზაცია ასევე თანამშრომლობს სასამართლო ხელისფლების ორგანოებთან და ცდილობს მოსამართლეთა ინფორმირებულობის ამაღლებას იმ საკითხებზე, რომლებიც ტრადიციულად ქართულ სამასრთლებრივ სივრცეში არ არსებობდა. მაგალითად, ჩვენი ორგანიზაცია უზრუნველყოფს მოსამართლეებისთვის სპეციალური სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას ევროპელ კოლეგებთან კონკურენციის სამართლისა და საარბიტრაჟო სამართლის სფეროში.

ანტიკორუფციული პოლიტიკა

ანტიკორუფციული პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერება

საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩო ამჟამად მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება. კერძოდ, არ არსებობს მთელი რიგი ანტიკორუფციული ნორმების პრაქტიკაში განხორციელების უზრუნველმყოფი მექანიზმები. მაგალითად, არ ხდება თანამდებობის პირთა ქონებრივ დეკლარაციებში მოცემული ინფორმაციის გადამოწმება და ინტერესთა შეუთავსებლობის შესაძლო შემთხვევების შესწავლა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ 2014 წელს შეისწავლა სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი წარმატებული ანტიკორუფციული უწყებების საქმიანობის პრაქტიკა და ამ კვლევის საფუძველზე მოამზადა საკანონმდებლო წინადადებების პაკეტი, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნას გულისხმობს, რომელიც დაკავებული იქნება როგორც ანტიკორუფციული პოლიტიკის კოორდინირებით, ისე ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესაძლო შემთხვევების შესწავლით.

ანტიკორუფციულ საბჭოსთან

2014 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლების პროცესში, რომელიც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და მისი სამდივნოს ხელმძღვანელობით მიმდინარეობა. ჩვენი ორგანიზაციის ზოგიერთი წინადადება და რეკომენდაცია ამ დოკუმენტების საბოლოო ვერსიებშიც აისახა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ პერიოდულად ახორციელებს საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასებას, რაც თორმეტი საკვანძო ინსტიტუტის მდგომარეობის ანალიზს მოიცავს. ეს ინსტიტუტებია პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება, სასამართლო, საჯარო სამსახური, სამართალდამცველი უწყებები, სახალხო დამცველი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საარჩევნო ადმინისტრაცია, პოლიტიკური პარტიები, სამოქალაქო საზოგადოება, მედია და ბიზნესი.

საქართველოს მთავრობის მიერ ანტიკორუფციული პოლიტიკის სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი

„საერთაშორისო გამჭვრივალობა - საქართველო“ მუდმივად აკვირდება საქართველოს ხელისუფლების მიერ ანტიკორუფციული პოლიტიკის სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. 2014 წლის ივნისში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ გამოაქვეყნა 2012-2013 წლებში საქართველოს მთავრობის მიერ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ანალიზი.

გარდა ამისა, 2014 წლის განმავლობაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ აწარმოებდა საქართველოს მთავრობის მიერ ეკონომიკური თანამშრობლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანტიკორუფციული ქსელის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება

ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის (National Integrity System, NIS) შეფასება „საერთაშორისო გამჭვრივალობის“ ბერლინის სამდივნოს მიერ მომზადებული მეთოდოლოგიის მიხედვით ხორციელდება და 12 ძირითად ინსტიტუტს მოიცავს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კორუფციის პრევენციისა და მასთან ბრძოლის მხრივ. ეს ინსტიტუტებია პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო ხელისუფლება, საჯარო სამსახური, სამართალდამცავი უწყებები, სახალხო დამცველი, საარჩევნო ადმინისტრაცია, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, პოლიტიკური პარტიები, მედია, სამოქალაქო საზოგადოება და ბიზნესი.

ჩვენი კვლევის ფარგლებში თითოეული ინსტიტუტის საქმიანობის რამდენიმე ძირითად კომპონენტს ვაფასებთ: ინსტიტუტის დამოუკიდებლობას, რესურსებს, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის მექანიზმებს და თითეული ინსტიტუტის როლს

კორუფციასთან ბრძოლის საქმეში. ამასთან, ცალ-ცალკე ხდება ინსტიტუტის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკაში არსებული მდგომარეობის ანალიზი.

ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება ჩვენმა ორგანიზაციამ პირველად 2011 წელს გამოაქვეყნა, ხოლო 2014 წელს დავიწყეთ მუშაობა შეფასების მეორე ანგარიშზე, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, თუ რამდენად შეიცვალა მდგომარეობა თითოეულ ინსტიტუტში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. კვლევის წინასწარი შედეგები 2014 წლის დეკემბერში ამ ინსტიტუტების წარმომადგენლებთან და შესაბამისი სფეროების ექსპერტებთან განვიხილეთ, ხოლო თავად კვლევის საბოლოო დოკუმენტი 2015 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნდება.

საბიუჯეტო გამჭვირვალობის ხელშეწყობა

2014 წელს საბიუჯეტო გამჭვირვალობის ხელშეწყობისთვის ჩვენმა ორგანიზაციამ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა:

2014 წლის ივლისში გამოქვეყნდა 2010-2013 წლებში თორმეტ სამინისტროსა და თბილისის მერიაში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის მდგომარეობის, პრობლემებისა და გამოწვევების 34 კრიტერიუმით შეფასების ანგარიში. კვლევამ გამოავლინა ძირითადი აქტივების, მარაგების და ფინანსური აქტივების აღრიცხვის მიმართ სრულიად ზერელე და გულგრილი დამოკიდებულება და შესაბამისად აქტივების ბოროტად გამოყენების და დატაცების სრულიად აშკარა რისკები. კვლევამ ასევე გამოავლინა როგორც სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის, ისე საზოგადოდ ფინანსური ანგარიშვალდებულების მარეგულირებელი კანონმდებლობის უამრავი ხარვეზი, მაგ., ინვენტარიზაციის სრული მოუწესრიგებლობა და სხვა არაერთი პრობლემა.

მუხედავად ამისა, კვლევამ მხარჯავი დაწესებულების მიხედვით 2010-2012 წლებში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის მკვეთრად განსხვავებული სურათი აჩვენა. ჩვენი შეფასებით, 2010-2012 წლებში საუკეთესო სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა ჰქონდათ: 1. საგარეო საქმეთა სამინისტროს 2. ფინანსთა სამინისტროს 3. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 4. გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს. ყველაზე არასაიმედო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა კი ჰქონდათ: 1. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, სადაც ფიქტიური ხელშეკრულებებით თვალთმაქცურად ხდებოდა სახელმწიფოს სახსრების დატაცება 3. ენერგეტიკის სამინისტროს, სადაც შიდა აუდიტი ფაქტობრივად არ არსებობდა, რაც განსაკუთრებით მაღალი რისკის ქვეშ აყენებდა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობას და კანონიერებას.

მთავრობას გამოვლენილი პრობლემების მოგვარების კონკრეტული რეკომენდაციებით მივმართეთ.

2014 წლის ივნისში მაღალი შეფასება მივეცით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2013 წელს ჩატარებულ აუდიტებს, რომლებმაც 2004-2013 წწ. მოიცვა. 2013 წელს თითქმის ორჯერ მეტი აუდიტი ჩატარდა, ვიდრე 2011-2012 წლებში ერთად. აღმოჩნდა, რომ შთამბეჭდავია არა მხოლოდ ჩატარებული აუდიტების რაოდენობა, არამედ ხარისხიც. ჩატარებული აუდიტების ხარისხის და რაოდენობის თვალსაზრისით 2013 წელი ჩვენ ერთგვარ წყალგამყოფადაც მივიჩნიეთ.

2014 წლის ივლისში დეტალური ანალიზით გამოვეხმაურეთ პარლამენტის დროებითი კომისიის ძირითადად არაობიექტურ დასკვნას, რომლითაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2013 წლის საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა. ამ ანალიზით გაბათილდა კომისიის დასკვნების უმრავლესობა.

2014 წლის თებერვალში გამოვაქვეყნეთ 2012-2014 წლების საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების ვიზუალიზაცია რათა გვეჩვენებინა: 1. როგორ შეიცვალა ეს პრიორიტეტები ბოლო ორი წლის მანძილზე 2. რა პოზიტიური ცვლილებები გვაქვს და სად ვხედავთ პრობლემებს 2014წ. ბიუჯეტში. 3. რა საშუალებებით აპირებს მთავრობა თავისი პრიორიტეტების დაფინანსებას.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დაცვა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო'' ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკის საჭიროებაზე და, შესაბამისად, ქვეყანაში ეფექტიანი კონკურენციის პოლიტიკის არსებობის მნიშვნელობაზე, 2014 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშებში მიუთითებდა. ორგანიზაცია აგრეთვე მონაწილეობდა კონკურენციის პოლიტიკის რეფორმის პროექტის და კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავებაში, რომელიც ხელისუფლებამ ეფექტიანი კონკურენციის პოლიტიკის დანერგვის მიზნით უნდა განახორციელოს.

,,საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს'' რეკომენდაციით განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი სიახლეები (კონკურენციის პოლიტიკის რეფორმის შესაბამისი პროექტი საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის მარტში მიიღო):

• ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სტრუქტურა - კონკურენციის სააგენტო;
• ჩამოყალიბდა კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობის გარანტიები;
• დაზუსტდა „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედების სფერო;
• კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევისათვის გათვალისწინებული ჯარიმები იმგვარად დაზუსტდა, რომ ამ ჯარიმებს ანტიკონკურენტული ქმედების პრევენციის ფუნქციაც ჰქონდეს;
• ეკონომიკურ აგენტს, სხვა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს;
• საქართველოს კანონმდებლობაში ხდება, აშშ-სა და ევროპაში ბაზარზე ეკონომიკური აგენტის ანტიკონკურენტული ქცევის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტის - თანამშრომლობის პროგრამის (Leniency Program) - შემოღება და დანერგვა;
• იკრძალება სახელმწიფო ჩარევა ნებისმიერი ფორმით, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას;
• დაზუსტდა ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები;
• რეგულირებას დაექვემდებარა ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის შემთხვევები;
• რეგლამენტირებულია არაკეთილსინდისიერი კონკურენცია „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მიზნებისათვის.

კონკურენციის პოლიტიკის რეფორმა, ასევე, ითვალისწინებდა მეორადი კანონმდებლობის (სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის წესი და პროცედურა, მოკვლევის მეთოდოლოგია და სხვა) 2014 წლის 1 ოქტომბრამდე შემუშავებას და დამტკიცებას. ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო'' აღნიშნული მეორადი კანონმდებლობის შემუშავების პროცესშიც აქტიურად მონაწილეობდა. შესაბამისად, კონკურენციის სააგენტოს ის უფლებამოსილებები, რომელთა განსახორციელებლადაც აუცილებელი იყო მეორადი აქტების დამტკიცება/მიღება, სრულად ამოქმედდა შესაბამისი სამართლებრივი აქტის დამტკიცება/მიღებისთანავე.

გადამზიდავების საქმე

როგორც ცნობილია, ქვეყანაში არსებული ქმედითი კონკურენციის პოლიტიკა მნიშვნელოვანია კორუფციის პრევენციის კუთხითაც. ქვეყნის კონკურენციის პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასების მიზნით „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" პერიოდულად იკვლევს ისეთ მსხვილ ბიზნესსექტორებს, რომელშიც კონკურენციის შეზღუდვას ქვეყნის ეკონომიკისთვის სერიოზული ზიანი შეიძლება მოყვეს. ამჯერად ორგანიზაციამ შეისწავლა საფოსტო მომსახურების ბაზარი. საფოსტო მომსახურების ბაზარი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკაში და ხასიათდება ზრდის მკვეთრად გამოხატული ტენდენციით ბოლო ათწლეულის მანძილზე. გადაზიდვების ბაზარზე ლეგალური ბარიერები პირველად შემოღებულ იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 25 იანვრის №30 ბრძანებით. ამ ბრძანების საფუძველზე საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებულ პროცედურებში არსებითი ცვლილებები განხორციელდა, რამაც საქონლის გადაზიდვის საქმიანობით დაკავებულ მეწარმეებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" წერილით მომართა ადგილობრივ მეწარმეთა ჯგუფმა, რომლებიც საქონლის გადაზიდვის საქმიანობას ეწევიან. მეწარმეებმა ეჭვი გამოთქვეს, რომ აღნიშნული რეგულაციები მათი ბაზრიდან განზრახ განდევნას ემსახურება და ერთი კონკრეტული გადამზიდველის მონოპოლიურ მდგომარეობაში ჩაყენებას ისახავს მიზნად. ამ კომპანიაში ისინი „საქართველოს ფოსტას" გულისხმობდნენ. სწორედ ამიტომ ჩაერთო „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" ამ საქმის მოკვლევის პროცესში.

ადგილობრივმა გადამზიდავები თავიანთი უფლებების დასაცავად და ფინანსთა მინისტრის ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით მიმართეს სასამართლოს. გადამზიდველების ინტერესებს სასამართლო დავის პროცესში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" იცავდა. გადამზიდავებმა აღნიშნული საქმე მოიგეს სამივე ინსტანციის სასამართლოში. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ფინანსთა მინისტრისა და შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებები ბათილად იქნა ცნობილი.

საქართველოს მთავრობის დადგენილება:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის და შემოსავლების სამსახურის უფროსის ზემოაღნიშნული ბრძანებების სასამართლოს მიერ საბოლოოდ ბათილად გამოცხადებამდე, 2014 წლის 6 იანვარს საქართველოს მთავრობამ მიიღო #40 დადგენილება ფოსტის სფეროში გასატარებელი დროებითი ღონისძიებების შესახებ. ამ დადგენილების თანახმად, ფოსტის სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანამდე, საფოსტო გზავნილის - ამანათის მიღება-გაგზავნის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, მხოლოდ შპს „საქართველოს ფოსტას" ენიჭებოდა უფლებამოსილება განეხორციელებინა საქართველოში სახმელეთო ან საზღვაო გზით შემომავალი ამანათის შემოტანა /დამუშავება/ ადრესატისათვის ჩაბარება, ასევე საქართველოდან სახმელეთო ან საზღვაო გზით გამავალი ამანათის გამგზავნისაგან მიღება/დამუშავება/გაგზავნა. დადგენილება გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდა და 2014 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე გავრცელდა. შესაბამისად, ყველა სხვა კომპანიას, რომელიც საქონლის გადაზიდვის საქმიანობით იყო დაკავებული, დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობა აეკრძალა.

გადამზიდავმა კომპანია STAR GROUP–მა მთავრობის #40 დადგენილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით. საკონსტიტუციო სასამართლოში გადამზიდავი კომპანიის ინტერესებს კვლავ ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო'' იცავდა. ორგანიზაციის მიერ მომზადებულ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი წარდგენილ სარჩელში მითითებული იყო, რომ გადამზიდავების ბაზარზე არსებული სიტუაცია არ შეცვლილა #30 ბრძანების გაუქმების და #40 დადგენილების ამოქმედების შემდეგ. უფრო მეტიც, ამჯერად "საქართველოს ფოსტა" არა მხოლოდ პრაქტიკულად, არამედ სამართლებრივადაც ერთადერთი მოთამაშე გახდა. გადამზიდავების საკონსტიტუციო სარჩელის მოთხოვნა იყო, რომ საქართველოს მთავრობის #40 დადგენილების სიტყვები "მხოლოდ საქართველოს ფოსტა" ცნობილი ყოფილიყო არაკონსტიტუციურად საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებასთან წინააღმდეგობის გამო. ვინაიდან, აღნიშნული ჩანაწერი, შესაბამისი ლეგიტიმური მიზნების არარსებობის გარეშე ზღუდავდა თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის უფლებას და შესაბამის სფეროს მონოპოლისტად აქცევდა ,,საქართველოს ფოსტას''.

საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი სხდომა 2014 წლის 5 სექტემბერს იყო ჩანიშნული, მაგრამ მთავრობის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომა გადაიდო 7 ოქტომბრისთვის. საკონსტიტუციო სასამართლოს 7 ოქტომბრის სხდომის გამართვამდე, მთავრობამ თავადვე გააუქმა საკუთარი დადგენილება 2014 წლის 2 ოქტომბრის N586 დადგენილებით. შედეგად, დღეისათვის გადამზიდავების ბაზარზე ლეგალური ბარიერები არ მოქმედებს და გადამზიდავების ბაზარი ღიაა.

გადამზიდავების ბაზარზე მიმდინარე სასამართლო დავების პროცესის პარალელურად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიმუშავა და 2014 წლის 25 იანვარს დაინტერესებული მხარეებისათვის მოახდინა პრეზენტაცია საფოსტო კავშირის რეფორმის პროექტის, რომელიც საფოსტო კავშირის სფეროში საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების ახლებურად მოწესრიგებას ითვალისწინებდა. კერძოდ, რეფორმის შედეგად პრაქტიკულად გათვალისწინებული იყო სახელმწიფო რეგულირების ისევ შემოღება და საფოსტო მომსახურების ბაზრის რე-რეგულაცია. აღნიშნული რეგულაციების შემოღება ბაზრის ამ სეგმენტზე მოქმედი საერთაშორისო კომპანიების - DHL, TNT, UPS, FEDEX და ორმოცამდე კომპანიის, რომელიც დღეს საქართველოს ბაზარზე ოპერირებს, საქმიანობაში სერიოზულ ფორმალურ/ბიუროკრატიულ ბარიერად შეიძლება ქცეულიყო. ამ კომპანიებმა გამოთქვეს იმის საფრთხე, რომ ისინი იძულებული გახდებოდნენ

საქართველოს ბაზარი დაეტოვებინათ. კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერერესების დაცვის მიზნით მომართეს ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს''. ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ'' გაანალიზა საფოსტო მომსახურების სფეროში საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგების ამ რეფორმით შემოთავაზებული წესი და მიიჩნია, რომ იგი, სავარაუდოდ, ასევე უარყოფით გავლენას მოახდენდა გადაზიდვების ბაზარზე თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული ბიზნესგარემოს არსებობაზეც, რაც არ იყო შესაბამისობაში მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკასთან.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ რეკომენდაციაა, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს საფოსტო მომსახურების ბაზარზე საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგების კანონპროექტით გათვალისწინებული ახალი წესის მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობა და საფოსტო, კურიერული მომსახურების და საფინანსო მომსახურების ბაზრებზე თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული ბიზნესგარემოს არსებობის ხელშეწყობა.

უცხოელებისათვის მიწის მიყიდვის აკრძალვა

2013 წელს პარლამენტმა მიიღო გაუმართლებელი და არაკონსტიტუციური გადაწყვეტილება, დაეწესებინა დროებითი მორატორიუმი უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენაზე. მორატორიუმს 2014 წლის ბოლომდე უნდა ემოქმედა. ამ ცვლილების მთავარ მიზეზად, საქართველოს პარლამენტის წევრები ასახელებდნენ მიწის კადასტრის სისტემის მოგვარების აუცილებლობას, თუმცა კანონპროექტის ამოქმედებიდან თვეების განმავლობაში ერთიანი რეგისტრაციის სისტემის მოსაგვარებლად არავითარი ნაბიჯი არ გადადგმულა.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში ასევე ვკითხულობთ, რომ „დღესდღეობით არსებობს მიწის არაგონივრული პრივატიზაციის რეალური საფრთხე“. აღსანიშნავია, რომ ინიციატორებმა არც იმ უცხოელთა რაოდენობა შეისწავლეს, რომლებმაც საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწა შეიძინეს, და არც ის, თუ რა ოდენობის მიწის ფართობს ფლობდნენ ისინი. ჩვენ გამოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია უცხოელების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების წილის შესახებ და დავადგინეთ, რომ ეს წილი არ აღემატება 0.7%-ს (დაახლოებით 18,500 ჰექტარი).

საკითხის გამოკვლევისას ჩვენ ასევე ვესაუბრეთ რამდენიმე მსხვილ უცხოელ ინვესტორს, რომლებიც საქართველოში წარმატებულ ბიზნესს საქმიანობას რამდენიმე წელია რაც ეწევიან, იხდიან გადასახადებს და საქართველოს მოქალაქეებს ასაქმებენ. ისინი აცხადებდნენ, რომ ახალი რეგულაცია მათ მნიშვნელოვანწილად უზღუდავდა ბიზნესის გაფართოების შესაძლებლობას და მეტი ინვესტიციების განხორციელებას.

2014 წლის ივნისში საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სარჩელი და არაკონსტიტუციურად სცნო უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შეძენაზე გამოცხადებული მორატორიუმი, რადგან ის ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც საკუთრების და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია, ასევე, დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებისა, უცხოელებს დღესაც ექმნებათ პრობლემა მიწის დარეგისტრირებასთან დაკავშირებით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კვლავ მიმართავენ უცხოელი ინვესტორები, რომელთაც აუქციონზე შეიძინეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, თუმცა საჯარო რეესტრი რამდენიმე თვის განმავლობაში არ ურეგისტრირებს განაცხადში ხარვეზის დადგენის მოტივით. ვინაიდან ეს პრობლემები საკმაოდ ხშირია, არსებული ვითარება იძლევა ეჭვის საფუძველს, რომ საჯარო რეესტრი აფერხებს უცხოელთათვის მიწის რეგისტრაციის პროცესს. “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” მომავალ წელსაც აქტიურად იმუშავებს ამ საკითხებზე.

პარლამენტის მონიტორინგი და ჩვენი საკანონმდებლო მუშაობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ საპარლამენტო გუნდს ოფისები აქვს თბილისსა და ქუთაისში მდებარე პარლამენტის შენობებში.

- ორგანიზაციის საპარლამენტო გუნდი 2014 წელს რამდენიმე მიმართულებით მუშაობდა:
- საკანონმდებლო პროექტების ანალიზი, დასკვნები მომზადება, კომიტეტის სხდომებში დასწრება და მონაწილეობა
- კანონპროექტებთან დაკავშირებით ე.წ. ფოკუს ჯგუფების მოწყობა;
- საკანონმდებლო წინადადებების მომზადება;
- პარლამენტში მიმდინარე მოვლენების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება (ინფორმაციის განთავსება ვებ გვერდებზე www.transparency.ge www.chemiparlamenti.ge, ასევე ფეისბუქ გვერდზე და ყოველკვირეული საპარლამენტო პოდკასტის მოზადება, მოკლე ტექსტური შეტყობინების დაგზავნა www.chemiparlamenti.ge -ზე რეგისტრირებული მომხმარებლისათვის;
- პარლამენტის მაჟორიტარი წევრების ბიუროების ტრენინგები.

საქმიანობა კანონპროექტებთან დაკავშირებით

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ 2014 წელს მოამზადა დასკვნა 10-ზე მეტი კანონპროექტის შესახებ. დასკვნებში გამოთქმული შენიშვნების ნაწილი გაზიარებული იქნა საკანონმდებლო ორგანოს მიერ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ორგანიზაციის ჩართულობა ე.წ. ფარულ მოსმენებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე, რომელიც 2014 წლის 1 აგვისტოს მიიღო საქართველოს პარლამენტმა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ გამოთქმული შენიშვნები სრულად იქნა გაზიარებული პარლამენტის მიერ. შედეგად ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით მიღებული საკანონმდებლო პაკეტი დადებითად შეფასდა ევროპელ ექსპერტთა მიერ, როგორც წინგადადგმული ნაბიჯი სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვის უფლების თალსაზრისით. 2014 წლის 1 აგვისტოს მიღებული კანონით ღიად დარჩა ე.წ. გასაღების საკითხი. კანონის გარდამავალი დებულებების განისაზღვრა, რომ საკითხი 2014 წლის 1 ნოემბრამდე უნდა გადაწყვეტილიყო. იურიდიულ საკითხთა კომიტეტში აღნიშნულ საკითხზე სამუშაოდ შეიქმნა უწყებათაშორისი ჯგუფი, რომელშიც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად შედიოდა არასამთავრობო ორგანიზაციების 5 წარმომადგენელი, მათ შორის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი და საპაარლამენტო მდივანი. სამუშაო ჯგუფი ვერ შეთანხმდა ერთიან პოზიციაზე. სამუშაო ჯგუფის წევრ, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა პარლამენტს წარუდგინეს საკანონმდებლო წინადადება ცვლილებების შეტანა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონში, რომელიც ითვალისწინებდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებს შორის ე.წ. მუდმივი მიერთების გაუქმებას. კანონმდებლობასთან დაკავშირებული საქმიანობიდან ასევე აღსანიშნავია ორგანიზაციის დასკვნა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონზე. კანონში ცვლილებები, რომელმაც გაამკაცრა სავიზო რეჟიმი 2014 წლის 1 სექტემბერს შევიდა ძალაში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ჩაატარა კვლევა აღნიშნულ საკითხზე. 10 ოქტომბერს მოაწყო შეხვედრა, რომელსაც 40-ზე მეტი უცხოელი, ადვოკატები, საელჩოების და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები ესწრებდოდა და მათგან მოისმინა ახალი კანონის შედეგად შექმნილი პრობლემები. კვლევის ანალიზი და შენიშვნები გაეგზავნა საქართველოს პარლამენტს. შენიშვნები არ იქნა გაზიარებული, რის შემდეგაც ორგანიზაციამ მოამზადა საკანონმდებლო წინადადება და 2014 წლის ნოემბერში მიმართა პარლამენტს. საკანონმდებლო წინადადების განხილვა უახლოეს მომავალში იგეგმება.

კანონმდებლობასთან დაკავშირებული საქმიანობიდან ასევე აღსანიშნავია ორგანიზაციის დასკვნა, კანონპროექტთა პაკეტზე, რომელიც უკავშირდებოდა

საბანკო სექტორში პერსონალურ მონაცემთა დაცვას. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ საპარლამენტო გუნდის წარმომადგენლები შეხვდნენ კერძო საბანკო სექტორის წარმომადგენლებს და საბანკო ასოციაციის ხელმძღვანელობას, მათგან მოისმინეს შენიშვნები, შეიმუშავეს ერთობლივი დასკვნა, რომელიც გაეგზავნა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს და ორგანიზაციის საპარლამენტო მდივანმა შეიშვნები კომიტეტის სხდომაზე წარადგინა. პარლამენტის მიერ გაზიარებული იქნა შენიშვნათა აბსოლუტური უმრავლესობა (6 შენიშვნიდან 5).

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ საპარლამენტო გუნდმა ასევე მოამზადა დასკვნები, შენიშვნები და რეკომენდაციები „სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ“, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ და სხვა კანონპროექტებთან.

უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწების საკუთრებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ორგანიზაციამ რამდენიმე უცხოელ ბიზნესმენთან გამართა შეხვედრა და ორგანიზება გაუკეთა უცხოელ ბიზნესმენთა შეხვედრას აგრარულ საკითხთა კომიეტეტის თავმჯდომარესთან გიგლა აგულაშვილთან.

აგრარულ საკითხთა კომიეტეტში გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით, სადაც კომიტეტის მიერ მიწვეული იყვნენ ჩვენი ორგანიზაციის წევრები.

საპარლამენტო ჰოდკასტი – მოსახლეობის ინფორმირება პარლამენტის საქმიანობის შესახებ

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ 2014 წელს ჩაწერილი იქნა 15 საპარლამენტო პოდკასტი. პოდკასტი შეეხება საქართველოს პარლამენტში ყოველკვირეულად მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს (საკომიტეტო, პლენარულ მოსმენებს, ბიუროზე დარეგისტრირებულ მნიშვნელოვან კანონპროექტებს და აშ). ყველა პოდკასტი განთავსებულია ვებ გვერდებზე www.transparency.ge, www.chemiparlamenti.ge და ასევე გადაიცემა ორი რადიო არხით იმერეთი და აჭარა.

2014 წელს გაიზარდა პარლამენტის მონიტორინგის ვებ გვერდის www.chemiparlamenti.ge მომხმარებელთა რაიდენობა. ტელევიზიით გადაიცა რამდენიმე სოციალური რეკლამა აღნიშნულ ვებგვერდთან დაკავშირებით და ვიზიტორთა რაოდენობა დღეში 10-დან 300-მდე გაიზარდა. ვებგვერდზე პარლამენტის წევრებმა მოქალაქეთა 30-მდე შეკითხვას გასცეს პასუხი, რომელთა უმეტესობა სოციალურ საკითხებს შეეხებოდა.

პარლამენტის მაჟორიტარი წევრების ბიუროებთან თანამშრომლობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ პარლამენტის მაჟორიტარი წევრების ბიუროების თანამშრომლებისთვის 2014 წლის 18-19 ოქტომბერს ჩაატარა ორ დღიანი ტრენინგი თემაზე: პარლამენტის წევრების დეკლარაციების შევსება; საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა; ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციათა გამიჯვნა; საზოგადოების ინფორმირება ბიუროების საქმიანობის შესახებ. ტრენინგზე დასწრების მხრივ საკაოდ მაღალი მაჩვენებელი იყო. ბიუროების თანამშრომლებმა გამოთქვეს მსგავსი ტრენინგების მომავალში ჩატარების სურვილი. მომავალი ტრენინგის თემები მათთან კონსულტაციით შეირჩა.

ჯანსაღი საარჩევნო გარემო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო'' მრავალი წელია აკვირდება საარჩევნო გარემოს და მისი გაუმჯობესების ადვოკატირებას აქტიურად ეწევა. 2014 წელს ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ოთხი ანგარიში ამ თემასთან დაკავშირებით:

• „თბილისისა და გორის მერობის კანდიდატების საარჩევნო ხარჯების პარალელური მონიტორინგის შედეგები: საქართველოს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები" - ანგარიშში წარმოდგენელია გასული წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ოთხი საარჩევნო სუბიექტის თბილისისა და გორის მერობის კანდიდატების საარჩევო ხარჯების პარალელური მონიტორინგის შედეგები.

• „ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება" - ანგარიში 2014 წლის 1 იანვრიდან 12 ივნისამდე დროის შუალედს მოიცავს და მასში აღწერილია საარჩევნო მიზნებისთვის ხელისუფლებისთვის ხელმისაწვდომი სახელმწიფო რესურსების გამოყენების შემთხვევები. კვლევამ აჩვენა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, საანგარიშო პერიოდში ნაკლები იყო ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნებით გამოყენების შემთხვევები, თუმცა 2013 წელთან შედარებით, პრობლემები გაცილებით უფრო მეტი იყო.

• „პოლიტიკური პარტიების ფინანსები 2013 წელს" - ანგარიშის ერთი ნაწილი ეხება 2014 წელს პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და ხარჯვით ტენდეციებს. მასში გაანალიზებულია შემომწირველი პირები და მათი კავშირები იმ კომპანიებთან, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვების ტენდერებში მონაწილეობდნენ.

• „2014 წელს საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების ანალიზი" - ანგარიშში გაანალიზებულია ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც გასულ წელს საარევნო კოდექსში იქნა მიღებული.

გარდა ამისა, ორგანიზაციამ გამოაქვეყნა 5 ბლოგი და 21 განცხადება საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" ასევე აქტიურად იყო ჩართული, როგორც საარჩენო საკითხებზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფის, ისე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის სამსახურის და უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს 450 ადგილობრივი დამკვირვებლით გაუწია მონიტორინგი. თბილისის უბნებს ორგანიზაცია აკვირდებოდა 373 სტაციონარული დამკვირვებლის მეშვეობით. სტაციონარული დამკვირვებლების გარდა, თბილისში საარჩევნო პროცესებს 15 მობილური ჯგუფიც ადევნებდა თვალს. თბილისის გარეთ ორგანიზაცია ქვეყნის 5 რეგიონის 29 მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში 25 მობილური ჯგუფის მეშვეობით ადევნებდა პროცესებს თვალს.

ქვემო ქართლში არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების სააგენტო“ (სიდა). „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ეგიდით აკვირდებოდა არჩევნებს.

კენჭისყრის დღემ, საერთო ჯამში, მშვიდ გარემოში ჩაიარა. საარჩევნო უბნები, ძირითადად, დროულად გაიხსნა და კენჭისყრის დაწყების პროცედურებიც კანონის შესაბამისად წარიმართა. საარჩევნო უბნები უზრუნველყოფილი იყო ყველა საჭირო დოკუმენტაციით. არ დაფიქსირებულა ბიულეტენების გატაცების ან ბეჭდების დაკარგვის ფაქტი.

გამონაკლისს წარმოადგენდა მარტვილის საარჩევნო ოლქის #16 უბანი, საიდანაც დილის საათებში მოხდა საარჩევნო დოკუმენტაციის გატაცება. ამ ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღძრა საქმე.

საერთო ჯამში, შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფდა წესრიგის დაცვას. სპეც უბნებზე განსაკუთრებულ ექსცესებს ადგილი არ ჰქონია. ზოგადად, არ ყოფილა ჟურნალისტებისთვის ხელის შეშლის მცდელობა. საარჩევნო უბანზე აგიტაციის ფაქტებიც ნაკლებად ფიქსირდებოდა.

კვლავაც შეიმჩნეოდა ზოგიერთ უბანზე ამომრჩეველთა არაოფიციალური რეგისტრაციის მცდელობა, რაც თავისთავად არ წარმოადგენს კანონის დარღვევას, თუმცა გამოიკვეთა, როგორც ტენდენცია. გარკვეული პრობლემები იყო საარჩევნო სიების მხრივაც.

კენჭისყრის დასასრულს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ქვეყნის მასშტაბით 30-მდე სერიოზული და 15 შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი დარღვევა აქვს დაფიქსირებული. ჩვენს მიერ დაიწერა 16 საჩივარი. ზოგიერთი ოლქი - მაგალითად, მარტვილი და ზუგდიდი - დარღვევების რაოდენობითა და დაძაბულობით გამოირჩეოდა. მიუხედავად დაფიქსირებული დარღვევებისა უმეტესობას ჰქონდა ტექნიკური ხასიათი და მათ არ შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

არჩევნების მეორე ტური

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ 2014 წლის 12 ივლისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურს 50-მდე ადგილობრივი დამკვირვებლით გაუწია მონიტორინგი. საარჩევნო პროცესებს 8 თვითმმართველ ქალაქში ორგანიზაციის 17 მობილურმა ჯგუფმა მიადევნა თვალი. მთელი დღის განმავლობაში ორგანიზაციის დამკვირვებლები 580 უბანზე იმყოფებოდნენ.

კენჭისყრის დღემ მშვიდ გარემოში ჩაიარა. დამკვირვებლებს საარჩევნო უბნებზე არ დაუფიქსირებიათ სერიოზული დარღვევები. ჩვენი ინფორმაციით, საარჩევნო უბნები უზრუნველყოფილი იყო საარჩევნო დოკუმენტაციით. არჩევნების პირველი ტურისგან განსხვავებით, არ დაფიქსირებულა ბიულეტენების გატაცების ფაქტი.

მთელი დღის განმავლობაში ორგანიზაციის დამკვირვებლები, ასევე ამოწმებდნენ იმ ინციდენტებს, რომლებიც მედიისა და პოლიტიკური პარტიების საშუალებით ვრცელდებოდა. დაფიქსირდა დაპირისპირების რამდენიმე შემთხვევა, რომლებიც, ძირითადად, უბნის გარეთ პოლიტიკური პარტიების აქტივისტებსა და მხარდამჭერებს შორის ძალადობრივ ქმედებაში გამოიხატა.

საჯარო სამსახურში მიმდინარე პროცესები

საჯარო მოსამსახურეთა პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან დათხოვნა გრძელდება როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე მუნიციპალიტეტების დონეზე. აპოლიტიკური, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საჯარო სამსახური ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენს, საჯარო მოხელეთა სამსახურიდან დათხოვნა ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის წევრობის ან სავარაუდო წევრობის გამო ამ საფუძველს არყევს და ასუსტებს მნიშვნელოვან ინსტიტუტებს. ამგვარი ქმედებით მცირდება ყველა იმ რეფორმის მდგრადობაც, რომლებიც გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ასამაღლებლად იქნა ინიცირებული, რადგან სუსტდება ქმედუნარიანობა, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციათა ძალისხმევა მისი გაუმჯობესებისკენაა მიმართული. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სამართლებრივ დახმარებას უწევს საჯარო მოხელეებს სამსახურიდან მათი უსამართლოდ და პოლიტიკურად მოტივირებული გათავისუფლების შემთხვევაში.

2014 წლის ივლისში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ფარგლებში გაუქმდა ზუგდიდის, ოზურგეთის, ამბროლაურის, ახალციხის, გორის, მცხეთისა და თელავის მუნიციპალიტეტები და ისინი უმალ შეიცვალა ახლად დაარსებული თვითმმართველი ქალაქებითა მუნიციპალიტეტებით.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ იმთავითვე გამოთქვამდა ეჭვს, რომ საჭირო იყო არა ამ მუნიციპალიტეტების გაუქმება, არამედ მათი რეორგანიზაცია, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ ამ საკითხის ირგვლივ დისკუსიებში ჩაბმა არ ისურვა. ადგილობრივი თვითმმართველობების გაუქმება სახელმწიფოს წარმოუდგენლად ძვირი დაუჯდა. ამ პროცესს საჯარო მოსამსახურეთა ფართომასშტაბიანი გათავისუფლებები მოჰყვა. შემცირების გამო გათავისუფლებული მუშაკების კომპენსაციის საერთო ოდენობამ 2 203 168 ლარი შეადგინა. გაუქმების ნაცვლად მუნიციპალიტეტების უბრალოდ რესტრუქტურიზაცია რომ მომხდარიყო, აღნიშნული ხარჯები მნიშვნელოვნად მცირე იქნებოდა. ადგილობრივი ხელისუფლების ამჟამინდელი არაეფექტურობისა და ცუდი ფინანსური მართვის შემთხვევებიც სწორედ ამით აიხსნება.

შემცირებაში მოყოლილი თანამშრომლების საქმეების გარდა, საერთო ჯამში საჯარო მოსამსახურეთა სამსახურიდან უსამართლოდ და პოლიტიკურად მოტივირებული გათავისუფლების 21 საქმე იქნა შეტანილი სასამართლოში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ სამართლებრივი დახმარების საშუალებით. სასამართლოს გადაწყვეტილებით 8 საჯარო მოსამსახურე აღდგენილ იქნა თანამდებობებზე და / ან სათანადო კომპენსაცია მიიღო, ხოლო 11 საქმე სასამართლო განხილვის პროცესშია. ჩვენმა იურისტებმა შრომითი დავების საკითხში სამართლებრივი დახმარება გაუწიეს საჯარო მოსამსახურეებს თბილისშიც (12 შემთხვევა) და რეგიონებშიც, მათ შორის ბათუმში (2 შემთხვევა), ხელვაჩაურში (1 შემთხვევა), ფოთში (2 შემთხვევა), ზესტაფონში (2 შემთხვევა), ქუთაისში (1 შემთხვევა) და დუშეთში (1 შემთხვევა). სხვა მრავალ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოსადმი მიმართვა საჭირო არ იყო, სამართლებრივი დახმარების გაწევა იურიდიული კონსულტაციის სახით ხდებოდა. მაგალითად, საჯარო მოხელეები მოგვმართავდნენ კითხვებით: როგორ უნდა ემოქმედათ იმ შემთხვევაში თუ ხელმძღვანელი პირი მათ გათავისუფლების შესახებ განცხადების დაწერას აიძულებდა, რომელი კანონი იცავდა მათ სამსახურიდან უკანონო გათავისუფლებისაგან და ა. შ.

მაისში გამოქვეყნდა ჩვენი კვლევის ანგარიში, რომლიც ეხებოდა 2013 წლის განმავლობაში კონკურსის წესით დანიშნულ საჯარო მოსამსახურეებში ყოფილი მოვალეობის შემსრულებლების წილს. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ 24 საჯარო უწყებაში 1592 მოვალეობის შემსრულებლიდან 1376-მა ამავე პოზიციის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკურსში მონაწილე დროებით მოვალეობის შემსრულებელთა 86.5%-მა კონკურსის შედეგად თანამდებობა შეინარჩუნა. ეს მაჩვენებელი ძალიან მაღალია იმის ფონზე, რომ საჯარო სამსახურებში ამ პერიოდში www.hr.gov.ge-ზე გამოცხადებულ თითო ვაკანსიაზე საშუალოდ 62 კანდიდატს ჰქონდა განაცხადი წარდგენილი, ზოგიერთი სამინისტროს გარკვეულ თანამდებობზე კი აპლიკანტთა რაოდენობა რამდენიმე ასეულითაც კი განისაზღვრებოდა.

რა იციან მოქალაქეებმა საკუთარი ჯანდაცვის უფლებების შესახებ

იმის გასარკვევად თუ რა იციან მოქალაქეებმა ჯანდაცვის საკუთარი უფლებების შესახებ 2014 წლის დასაწყისში მთელი ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებრივი აზრის მასშტაბური კვლევა ჩავატარეთ. კვლევამ არაერთი სრულიად მოულოდნელი შედეგი გვაჩვენა, მაგალითად აღმოჩნდა, რომ:

1. გამოკითხული 1918 რესპონდენტიდან 18%-მა არ იცის, რომ დაზღვეულია. კვლევის ამ მონაცემზე დაფუძნებული შესაბამისი ანალიზით ჩვენ დავადგინეთ, რომ საქართველოს მოქალაქეთა რიცხვი, ვინც ამ დროისთვის არ იცოდა, რომ დაზღვეულია, დაახლოებით 490,000-დან 680,000-მდე მერყეობდა.

2. მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ჯანსაღად აფასებს ჯანდაცვაზე როგორც საკუთარ, ისე სახელმწიფოს ფინანსურ პასუხისმგებლობას: გამოკითხული 1918 რესპონდენტიდან 47% მზად არის თვეში 1-30 ლარი და მეტი გადაიხადოს ზუსტად ისეთ სამედიცინო დაზღვევაში, როგორიც უნდა. ამ მონაცემის შესაბამისი ანალიზით დავასკვენით, რომ საქართველოს მინიმუმ 1.6 მილიონი ზრდასრული მოქალაქე მზად არის საკუთარი ჯანმრთელობის დაზღვევის ფინანსური ტვირთი სახელმწიფოსთან ერთად გაინაწილოს.

3. გამოკითხული 1918 რესპონდენტიდან 52% ფიქრობდა, რომ მაშინაც კი, თუ მათი ჯანმრთელობა დაზღვეული იყო სახელმწიფოს მიერ, მათ მაინც მოუწევთ დამატებითი ხარჯების გაღება სამედიცინო მომსახურებისთვის ოფიციალური თუ არაოფიციალური გადასახადების სახით.

კვლევის ამ და სხვა მონაცემებზე დაყრდნობით პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტს და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვურჩიეთ გაცილებით ქმედითი ზომები მიეღოთ, რათა ყველა ბენეფიციერს სცოდნოდა, რომ დაზღვეულია. კომიტეტს და სამინისტროს ასევე ვურჩიეთ გაეთვალისწინებინათ, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მზად იყო საკუთარ ჯანდაცვაზე ფინანსური პასუხისმგებლობა სახელმწიფოსთან ერთად გაინაწილებინა, რაც მთავრობას საშუალებას აძლევს გათანაბრებითი მიდგომა დიფერენცირებული მიდგომით შეცვალოს და გამოთავისუფლებული რესურსი როგორც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ისე, საზოგადოდ, უკეთესი ჯანდაცვისკენ მიმართოს.





„საქართველოს მოქალაქეთა რიცხვი, ვინც არ იცოდა, რომ დაგღვეულია, დაახლოებით 490,000-დან 680,000-მდე მერყეობდა“

ჩვენი ვებგვერდები

www.chemiparlamenti.ge

tendermonitor.ge

BEYOND TBILISI

თბილისს მიღმა

ჩემი ქუჩა საქართველო



საპარლამენტო მონიტორინგის ვებგვერდი: chemiparlamenti.ge

საპარლამენტო მონიტორინგის ვებგვერდი ChemiParlamenti.ge „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ საპარლამენტო პროგრამის ფარგლებში შეიქმნა და მიზნად ისახავს მოქალაქეების ინფორმირებულობის ამაღლებას იმის შესახებ, თუ ვინ წარმოადგენს მათ პარლამენტში და რა გადაწყვეტილებები მიიღება მათი სახელით.

ChemiParlamenti.ge შესაძლებელს ხდის საკანონმდებლო პროცესში მოქალაქეების უფრო მეტად ჩართვას, წარმოადგენს რა საშუალებას მომხმარებლისთვის:

- იხილოს პარლამენტის წევრთა სრული პროფილები, სადაც მათი ბიოგრაფიების გარდა, მოცემულია ინფორმაცია მათი შემოსავლების შესახებ;
- თვალი მიადევნოს მიმდინარე კანონპროექტებს და მათი განხილვის სტადიებს მარტივად გასაგებ ფორმატში;
- დაუსვას შეკითხვა დეპუტატს და მიიღოს პასუხი ვებგვერდის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე აისახება ამ მხრივ ყველაზე ანგარიშვალდებული და პასიური პარლამენტარების რეიტინგი მათ მიერ გაცემული პასუხების თანაფარდობის დასმულ შეკითხვებთან გათვალისწინებით;
- გამოიწეროს სატელეფონო მოკლე ტექსტური შეტყობინებები (SMS) პარლამენტში მიმდინარე მოვლენების შესახებ;
- აუდიო პოდკასტების მეშვეობით მოუსმინოს პარლამენტში მომხდარი საინტერესო მოვლენების ყოველკვირეულ მიმოხილვას.

დაუსვი კითხვა შენს პარლამენტარს
www.chemiparlamenti.ge

ჩემი პარლამენტი

აქ ნახავთ ვინ წარმოგადგენთ პარლამენტში და რა გადაწყვეტილებები მიიღება თქვენი სახელით



რა კანონები მიიღება (უკანასკნელი კანონები)

თარიღი	კანონპროექტი	დისკუსიის ეტაპი
12 11-2014	„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“	?
12 11-2014	„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	

სახელმწიფო შესყიდვები ტენდერების მონიტორინგი:

tendermonitor.ge

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ელექტორონული სისტემა გამჭვირვალობისა და პროგრესულობის კუთხით ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. თუმცა კორუფციის რისკები ამ კუთხითაც არსებობს. ჩვენ მიერ შექმნილი ვებგვერდი საზოგადოებისთვის ქმნის საშუალებას ადევნოს და გააანალიზოს სახელმწიფო შესყიდვების მიმდინარეობა კონკრეტული სახელმწიფოთვალი უწყებების მიხედვით.

tendermonitor.ge-ზე შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან ჩამოტვირთული ინფორმაციაა განთავსებული. ვებგვერდს აქვს ინგლისური და ქართული ვერსიები. მარჯვენა ზედა კუთხეში მითითებულია ბოლო განახლების თარიღი.

ვებგვერდზე კონკრეტული ტენდერების, ასევე მიმწოდებლების და შემსყიდველი ორგანიზაციების მოძიება შეიძლება.

შეგვიძლია დავაკლიკოთ გამარჯვებულ კომპანიას და უკვე ამ კომპანიის პროფილზე გადავალთ. პროფილზე განთავსებულია კომპანიის საიდენტიფიკაციო მონაცემები, ასევე სტატისტიკური ინფორმაცია ტენდერებში მისი მონაწილეობის შესახებ, თითოეული ტენდერი, რომელშიც კომპანიამ მონაწილეობა მიიღო. აქვეა განთავსებული ინფორმაცია, თუ რა სექტორში არის ეს კომპანია ყველაზე აქტიური და რომელი შემსყიდველი ორგანიზაციის ხშირი კონტრაქტორია. აქედანვე შეგვიძლია გადავიდეთ ვებგვერდზე companyinfo.ge, სადაც ამ კომპანიის მფლობელებისა და დირექტორების შესახებ შევიტყობთ.

მსურველებს შეუძლიათ საიტზე რეგისტრაცია და მათთვის საინტერესო ტენდერების შესახებ ინფორმაციის გამოწერა.

tendermonitor.ge-ზე განთავსებულია ინფორმაცია არა მხოლოდ ტენდერების, არამედ გამარტივებული შესყიდვების შესახებ. გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში ორგანიზაცია ტენდერს არ აცხადებს და პირდაპირ აფორმებს კონტრაქტს რომელიმე კომპანიასთან.

BEYOND TBILISI

თბილისს მიღმა

მნიშვნელოვანი სიახლეები რეგიონებიდან: beyondtbilisi.ge

საქართველოში რეგიონური ახალი ამბები ძირითადად მხოლოდ ქართულ ენაზე იქმნება და ყოველთვის არ არის წარმოდგენილი ინტერნეტში, რის გამოც რეგიონის პრობლემები ხშირად ქვეყნის შიგნით თუ გარეთ მყოფი დაინტერესებული მხარეების ყურადღების მიღმა რჩება. 2011 წელს ჩვენ გადავწყვიტეთ ვებგვერდის შექმნა, რომელსაც სიმბოლურად „Beyond Tbilsi“ ანუ „თბილისს მიღმა“ დავარქვით. ვებ გვერდის მიზანია ადგილობრივ მედიასა და ფართო მომხმარებელს შორის შუამავლის როლის შესრულებით რეგიონული ახალი ამბები უფრო ხელმისაწვდომი გახადოს.

ამ საქმიანობას ახლაც ვაგრძელებთ და BeyondTbilisi.ge-ის ფარგლებში კვლავაც ვაკეთებთ მნიშვნელოვანი და საინტერესო ახალი ამბების ქართულ და ინგლისურენოვან მოკლე შინაარსებს და თითქმის ყოველდღიურად ვტვირთავთ მათ ვებ გვერდზე.

მიზნის მისაღწევად BeyondTbilisi.ge, ძირითადად, სამ საშუალებას იყენებს: ვებ გვერდი, ფეისბუქი და ტვიტერი. ვებ გვერდზე საინტერესო ახალი ამბების მოკლე შინაარსებს ვათავსებთ თანმდევი სურათებითა და ვიდეოებით. ტვიტერზე მოკლე ახალი ამბები იდება, რომელთა გამოხატვა ერთი წინადადებით არის შესაძლებელი. ფეისბუქს კი ვიყენებთ დანარჩენი ორი საშუალების წვდომის გასაფართოებლად.

ბოლოს გვსურს, თქვენი ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ Beyond Tbilisi-ის, როგორც შუამავლის ტიპის პროექტის, ფარგლებში ჩვენ ვერ ვიღებთ პასუხისმგებლობას რეგიონული მედიის მიერ შექმნილ მასალაზე, რადგან არ ვიძიებთ შერჩეული სტატიების ფაქტობრივ სიზუსტეს. მიუხედავად ამისა, მასალის შერჩევის დროს, ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ რამდენად ობიექტურად და ზედმიწევნით არის დაწერილი სტატია.

www.beyondtbilisi.ge

ერთად შევაკეთოთ ქალაქის ქუჩები

თუ თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში შესაკეთებელია ორმოები, ჭები, კანალიზაცია, განათება ან წყალსადენი მილები, ჩვენ ვეცდებით დავეხმაროთ მოქალაქეებს ამ პრობლემის გადაჭრაში!

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ვებგვერდის chemikucha.ge მეშვეობით ცდილობს უშუამდგომლოს მოქალაქეებს მათი ქალაქების თვითმმართველ ორგანოებთან.

თუ მოქალაქე საკუთარ ეზოში ან ქუჩაზე ხედავს დაზიანებას, რომელიც სასწრაფოდ შეკეთებას საჭიროებს, მას შეუძლია ამ დაზიანების ამსახველი სურათი და პრობლემის აღწერილობა ჩვენს ვებგვერდზე ატვირთოს და ის ავტომატურად ქალაქის მერიას გადაეგზავნება. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ვებგვერდი არა მარტო ქალაქებში არსებულ პრობლემებს გამოასწორებს, არამედ ხელს შეუწყობს მოქალაქეებს აქტიური სამოქალაქო პოზიციის გამოხატვაში.

www.chemikucha.ge

ჩემი ქუჩა საქართველო



როგორ განვათავსოთ პრობლემა

1. აირჩიეთ ქალაქი
2. შეიყვანეთ თქვენი მისამართი
3. იისფერი მარკერი დასვით რუკაზე პრობლების ადგილას
4. შეიყვანეთ პრობლემის დეტალები
5. ატვირთეთ პრობლემის სურათი (არსებობის შემთხვევაში)
6. ჩვენ მას თქვენი სახელით ქალაქის ადმინისტრაციას ვუგზავნით

30
მოგვარებული
პრობლემები

482
ბოლო
ერთი წლის
შეტყობინებები

ეკა გიგაური და ქუთაისის მერი, შოთა მურღულია ხელს აწერენ „ჩემი ქუჩა საქართველოს“ ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს

ჩვენი კამპანიები

ეს შენ გეხება
ისევ გვისმენენ

კამპანია „ეს შენ გეხება“ თავდაპირველად 2012 წლის თებერვალში არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებმა ერთად წამოიწყეს.

კამპანიაში ჩართული ორგანიზაციები და მოქალაქეები არ გამოხატავდნენ არცერთი პოლიტიკური სუბიექტის ინტერესს. არასამთავრობო და მედიაორგანიზაციები, ასევე უბრალოდ აქტიური მოქალაქეები კამპანიის დახმარებით ცდილობდნენ საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლას და კონკურენტუნარიანი, ამომრჩევლებისათვის მისაღები წინასაარჩევნო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობას.

კამპანია 2014 წელს განახლდა სახელწოდებით „ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ”. ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა კონსტიტუციური უფლებაა, რომელიც ასევე ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლითაა გარანტირებული. საქართველოს კანონ-მდებლობაში არსებული ხარვეზებით, ეს უფლება შეიძლება მუდმივად შეილახოს, თუ ჩვენი პირადი მონაცემები არაა დაცული.

კამპანიის მიზანია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა და უკანონო მოსმენების და მიყურადების წინააღმდეგ მოქმედება.

კამპანია “ეს შენ გეხება, ისევ გვისმენენ” პრესკონფერენციით გაიხსნა 2014 წლის მარტში. პრესკონფერენციის მონაწილეები საჯაროდ თიშავდნენ საკუთარ მობილურ ტელეფონებს და მათ პრესკონფერენციის ოთახის შესასვლელში ტოვებდნენ. კამპანიის მსვლელობისას ყოველი კვირის პარასკევს, კამპანიის მონაწილეები ერთი საათით სიმბოლურად თიშავდნენ მობილურ ტელეფონებს. “შევასვენოთ შინაგან საქმეთა სამინისტრო” - იყო ამ ინიციატივის სლოგანი.

მთელი წლის განმავლობაში კამპანიის ფარგლებში ეწყობოდა საპროტესტო აქციები. აქციის მონაწილეების ტრანსფარანტებზე ამოიკითხავდით: “ჩვენ თქვენი გვესმის ისე, როგორც არასდროს! შინაგან საქმეთა სამინისტრო”, “მოქალაქეებზე კონტროლის გაუმჯობესების მიზნით თქვენი საუბარი იწერება - შინაგან საქმეთა სამინისტრო”. ეწყობოდა თოქშოუები, კამპანიის მონაწილეები ესწრებოდნენ კანონმდებლობის ცვლილებების საპარლამეტო განხილვებს და ხმამაღლა აფიქსირებდნენ საკუთარ აზრს.

რადგან კანონმდებლობაში ჯერ კიდევ არ შესულა ცვლილებები, რომლებიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტი იქნება, კამპანია “ეს შენ გეხება ისევ გვისმენენ” 2015 წელსაც გააგრძელებს აქტივობებს.

ჩვენ ვირჩევთ ევროპას!

13 აპრილს არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამართეს აქცია-კონცერტი “ჩვენ ვირჩევთ ევროპას”. ღონისძიების მიზანი საქართველოს ევროპული არჩევანის მხარდაჭერა და ევროპის იდეის გარშემო საქართველოს მოქალაქეების კონსოლიდაცია იყო, მიუხედავად მათი განსხვავებული მოსაზრებებისა და წარსულისა.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნულის გაკეთება შევძელით, რადგან ათასობით რიგითმა მოქალაქემ აქცია-კონცერტზე მოსვლით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა. საზოგადებისთვის ცნობილი სახეები და პოლიტიკოსები, მიუხედავად სხვადასხვა საკითხებში განსხვავებული პოზიციებისა, თანხმდებიან საქართველოს ევროპული კურსის აუცილებლობაზე.

აღნიშული აქცია არასამთავრობო ორგანიზაციების იმ ფართომაშტაბიანი კამპანიის ნაწილი იყო, რომ-ლიც აქციის დღეს დაიწყო და რომლის მიზანს საქართველოს მოსახლეობაში ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ ცნობადობის გაზრდა წარმოადგენს.

არასამთავრობო ორგანიზაციებს ღონისძიების მოწყობაში დაეხმარა თბილისის მერია, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელმაც ღონისძიების პირდაპირი ტრანსლაცია განახორციელა. კონცერტი გააშუქეს რუსთავი 2-მა, იმედმა, მაესტრომ, ტვ3-მა, რადიო ფორტუნამ და რადიო თავისუფლებამ.

ასევე შევქმენით ფეისბუქ გვერდი “ჩვენ ვირჩევთ ევროპას”, სადაც პერმანენტულად ვაქვეყნებდით საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებთან დაკავშირებულ სიახლეებს.

ჩვენი რეგიონული ოფისები

ზუგდიდი

არჩილ თოდუა

გასული წელი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ზუგდიდის რეგიონული წარმომადგენლობისათვის გამორჩეული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე მუშაობისა თუ საჯარო უწყებათა საქმიანობის მონიტორინგის კუთხით.

ზუგდიდის რეგიონულმა წარმომადგენლობამ აღნიშნულ საკითხებზე 23 ბლოგ-პოსტი და განცხადება მოამზადა და გამოაქვეყნა. საქართველოს პარლამენტს მიეწოდა სრულყოფილი ანალიზი და რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველობის ახალ კოდექსზე; შესწავლილ იქნა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციები; მომზადდა ზუგდიდისა თუ სხვა მუნიციპალიტეტების საქმიანობის ანალიზი; შესწავლილ იქნა ქალთა წარმომადგენლობის დონე და ხარისხი სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის თვითმმართველობებში; გამოქვეყნდა კვლევა სამეგრელო-ზემო სვანეთის საკრებულოების ფრაქციათა საქმიანობის შესახებ; ჩვენმა წარმომადგენლობამ 2014 წელს შეისწავლა მიუსაფარი ძაღლებისადმი სასტიკი მოპყრობის ფაქტები სამეგრელოსა და გურიის მხარეებში; ასვე გამოვლინდა ნეპოტიზმისა და პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტები ზუგდიდში, ჩხოროწყუსა და წალენჯიხაში.

პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, კოალიციური პროექტის ფარგლებში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე აბაშის, სენაკის, მარტვილისა და ხობის მუნიციპალიტეტების, ჯამში 24 სოფლის მოსახლეობასთან.

ივნისში დავაკვირდით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს სამეგრელოს ყველა მუნიციპალიტეტში, გამოვლენილ იქნა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის რამდენიმე ფაქტი. ქალაქ ზუგდიდისა და ფოთის მერობის, ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლობის ყველა კანდიდატი წარვუდგინეთ მსმენელებს რადიოგადაცემის „ჩვენი თვითმმართველობა“ მეშვე-ობით, პარტიული სიების პირველ ნომრებს შორის გაიმართა დებატებიც. რადიოგადაცემა სულ 44-ჯერ გავიდა ეთერში და გარდა არჩევნებისა პერიოდულად მიმოიხილებოდა შესაბამისი კვირის მნიშვნელოვანი საკითხები.

ორგანიზება გავუწიოთ საჯარო განხილვებსა და დისკუსიებს შემდეგ საკითხებზე - ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა და მისი გამოწვევები; მოქალაქეთა თანამონაწილეობა საჯარო უწყებათა

საქმიანობაში; მედიასთან ურთიერთობა; ფარული მიყურადება და ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; მბრუნავი კარის პრინციპი - ბიზნესმენები პოლიტიკაში და პოლიტიკოსები ბიზნესში; საჯარო მოხელეთა ვალდებულებები საარჩევნო პერიოდში; მუნიციპალური სოციალური პროგრამები; გენდერული ბალანსი / დისბალანსი თვითმმართველობაში და ა.შ.

ზუგდიდში მოქმედი ორივე უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის რამდენიმე ეტაპად ჩატარდა საჯარო ლექციების კურსი სხვადასხვა საკითხებზე.

კონსულტაცია გავუწიეთ რამდენიმე ათეულ მოქალაქეს, დავეხმარეთ განცხადებების მომზადებასა და შუამდგომლობის წერილების მომზადებაში, მოქალაქის საჯარო უწყებებთან შეხვედრის ორგანიზებასა თუ საჯარო უწყებებისათვის სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ჯგუფების შესახებ ინფორმაციის მიწო-

დებაში.მიმდნარე სასამართლო საქმეებს შორის ერთი პროცესი წარმატებულად დასრულდა, რის შედეგადაც სამსახურში იქნა აღდგენილი კანონის მოთხოვნათა დარღვევით განთავისუფლებული პოლიციელი.
სახალხო დამცველის ოფისთან ერთად გავმართეთ შეხვედრა სამეგრელო-ზემო სვანეთის ყველა მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის უფროსებთან, შეხვედრის მიზანი იყო მუნიციპალური სოციალური პროგრამების გაუმჯობესების გეგმის შემუშავება იმდაგვარად, რომ ეს პროგრამები ორიენტირებულნი იყვნენ ბენეფიციართა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

მონაწილეობა მივიღეთ ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში, ორივე მუნიციპალიტეტს შევთავაზეთ გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა ნაწილიც გათვალისწინებულ იქნა საკრებულობის მიერ მიღებულ საბოლოო დოკუმენტში.

2014 წლის ბოლოს კი დავაკვირდით ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მიმდინარე საჯარო მოხლეთა კონკურსის ტესტირებისა და გასაუბრების ეტაპებს.

ბათუმი

მალხაზ ჭკადუა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოში“ მუშაობას ყველაზე მეტად ის უპირატესობა აქვს, რომ არც თუ იშვიათ შემთხვევაში ხდები შუამავალი მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის. კონკრეტული წუხილით მოსულ მოქალაქეს უსმენ და ფიქრობ, რა გზით შეიძლება მისთვის დახმარების გაწევა ან შეიძლება თუ არა საერთოდ (ხანდახან ისეც ხდება, რომ მოქალაქეები კერძო დავებში ჩართვას, ასევე ორგანიზაციის მანდატით გაუთვალისწინებელ სფეროში ხელის გამართვას გვთხოვენ. ასეთ დროს უარის თქმა მტკივნეულია, მაგრამ სამწუხაროდ, საკმარისი რესურსი ყველა ამ მართვის დასაკმაყოფილებად ისეთ წარმატებულ და კვალიფიციურ ორგანიზაციასაც კი არ აქვს, როგორიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოა“).

2013 წლიდან ჯერ ორგანიზაციის ზუგდიდის ოფისის კოორდინატორი ვიყავი, 2014 წლიდან კი ამავე პოზიციაზე ბათუმში გადავინაცვლე. მედიიდან არასამთავრობო ორგანიზაციაში მისულ ადამიანს მეტნაკლებად უადვილდება მესამე სექტორში მუშაობა, რადგან ორივე სფეროს მთავარი დანიშნულება ე.წ. მოდარაჯე ძაღლის ფუნქციის შესრულებაა. კეთილსინდისიერება და მიუკერძოებლობა ორივეგან ერთნაირად ფასდება, ამიტომ ვფიქრობ, რომ ჟურნალისტიკიდან არასამთავრობო ორგანიზაციაში წასვლა საკმაოდ თამამი, დროული და სასარგებლო ნაბიჯი იყო.

რაც შეეხება გასულ წელს, 2014 „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ბათუმის ოფისისთვის ნაყოფიერი გამოდგა, როგორც წარმატებული სასამართლო პროცესების კუთხით, ასევე თვითმმართველობის ორგანოების მონიტორინგისა და მოქალაქეების საჩივრების შუამდგომლობის დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

სამართლებრივი დახმარების ცენტრი

ოფისის სამართლებრივი დახმარების ცენტრი მთელი წლის მანძილზე მოქალაქეებს ყოველდღიურად იღებდა. საკუთრების უფლების ხელყოფის განცხადებების საფუძველზე, რამდენიმე შემთხვევაში დავა სასამართლოში გაგრძელდა. ავტონომიურ რესპუბლიკაში საკუთრების უფლება ძირითადად იმიტომ ირღვევა, რომ ამ დრომდე რეგიონში მიწის რეფორმა გატარებული არ არის, შესაბამისად, ასიათასობით მოქალაქეს საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთებიც კი არ აქვს გატარებული რეესტრში.

სამართლებრივი დახმარების ცენტრის ერთი-ერთი ასეთი საქმე ლანჩხუთში მცხოვრებ მარინა მექვაბიშვილს უკავშირდება, რომელიც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში მიწის ნაკვეთს ფლობდა. მესაკუთრემ უძრავ ნივთზე ცვლილების რეგისტრაცია - ელექტრონული ნახაზის მიბმა გადაწყვიტა, თუმცა საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებით, სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა, რადგან აღმოჩნდა ზედდება (ე.წ. გადაფარვა) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან.

ბათუმის ოფისის იურისტების დახმარებით, დავა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში დაიწყო. ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ ბათილად ცნო ლანჩხუთის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილება და საჯარო რეესტრს ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა დაავალა. დავა სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმატებით დასრულდა.

ასეთივე წარმატებით დასრულდა მორიგი სასამართლო დავა, სადაც საგანმანათლებლო საქმიანობით დაკავებულ შპს “ახალგაზრდობას” ბათუმის ოფისი იურისტები წარმოადგენდნენ. “ახალგაზრდობას” ბათუმში, ჯავახიშვილის ქუჩის #82-ში, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, 2016 წლის 20 თებერვლამდე, გადაცემული ჰქონდა ორსართულიანი შენობა. შენობანაგებობა თავდაპირველად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, ხოლო შემდგომ თვითმმართველი ქ. ბათუმის მერიის საკუთრებას წარმოადგენდა. მერიამ არაერთხელ მოინდომა შენობიდან შპს “ახალგაზრდობის” გასახლება. 2013 წლის 8 აგვისტოს კი საქართველოს იუსტიციის სამინიტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურმა საჯარო რეესტრში ის ჩანაწერი გააუქმა, სადაც მოიჯარედ მითითებული იყო შპს ,,ახალგაზრდობა'', ისე, რომ მისთვის არ უცნობებია. ჩვენი იურისტების მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, დავა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოში შპს ,,ახალგაზრდობის'' სასარგებლოდ გადაწყდა.

საჯარო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული სახელმწიფო მოსამსახურეების დახმარება ოფისის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო 2014 წელსაც. ამ მხრივ, გამორჩეულია მოქალაქე სოფიო კობალაძის საქმე, რომლის ინტერესებს ორგანიზაცია 2013 წელსაც იცავდა. მაშინ ჩვენი ოფისის დახმარებით, კობალაძე აჭარის უმაღლეს საბჭო-ში შესაბამის პოზიციაზე დააბრუნეს, თუმცა სამსახურიდან აღდგენიდან ერთ თვეში, კობალაძე ისევ გაათავისუფლეს. ამჯერად მიზეზი ის გახდა, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე, რომლის თანაშემწეც სოფიო კობალაძე გახლდათ, სხვა კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა. უმაღლესმა საბჭომ მედეა ვასაძის სხვა (ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა) კომისიაში გადასვლა საკმარისად მიიჩნია სოფიო კობალაძის გასათავისუფლებლად. სასამართლომ კი, თავის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ კომისიის თავ-

მჯდომარის თანაშემწის უფლებამოსილების ვადა გულისხმობს კონკრეტული საბჭოს მოწვევის 4 წლიან ვადას და არა კონკრეტული თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნის ვადას, როგორც ეს უმაღლესმა საბჭომ სოფიო კობალაძის გათავისუფლების საფუძვლად მიუთითა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოდან ორჯერ გათავისუფლებული თანამშრომლის, სოფიო კობალაძის სარჩელი. სასამართლომ უმაღლეს საბჭოს სოფიო კობალაძის თანამდებობაზე აღდგენა და განაცდური ხელფასის გადახდა დაავალა. აღნიშნული საქმე სამივე ინსტანციის სასამართლოში მხარის სასარგებლოდ დასრულდა, რაც თავიდან ბოლომდე ოფისის იურისტის, გამორჩეული პროფესიონალის ანა ბერძენიშვილის დამსახურებაა. ანა ყველა მოქალაქის პრობლემას თანაბარი პასუხისმგებლობით ეკიდება და შედეგიც არ აყოვნებს ხოლმე.

ოფისის სამართლებრივი დახმარების ცენტრი აქტიურად მუშაობდა მოქალაქეთა წერილებსა და იმ პრობლემებზე, რომელთაც გადაწყვეტაც ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაა. ერთ-ერთი ასეთი საკითხი 2014 წლის სექტემბრიდან ბათუმში მოქმედი უნივერსიტეტებისა და კოლეგების სტუდენტებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობისას შეღავათების გაუქმებას ეხებოდა. მერიის განმარტებით, შეთავათი, 2014 წლის სექტემბრიდან, მხოლოდ ბათუმში რეგისტრირებულ სტუდენტებზე გავრცელდებოდა, სხვა მუნიციპალიტეტებიდან ჩასული სტუდენტები კი 10 თეთრის ნაცვლად, სხვა მოქალაქეების მსგავსად, 20 თეთრს გადაიხდიდნენ. ბათუმის ოფისის მიერ მომზადებული მიმართვის საფუძველზე, ბათუმის საკრებულომ 2014 წლის 10 ნოემბერს, ჯანდაცვის და სოციალური სამსახურის მიზნობრივ პროგრამაში ცვლილებები შეიტანა, შედეგად, სტუდენტებს ბათუმში მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობა ისევ 10 თეთრად შეუძლიათ. ამ საქმეში განსაკუთრებული ის არის, რომ გადაწყვეტილება ათასობით სტუდენტს შეეხო და რაც ყველაზე მისასალმებელია, თავად სტუდენტებმა გამოიჩინეს მოქალაქეობრივი პოზიცია - სამართლებრივი გზით ეცადნენ საკუთარი ინტერესების დაცვას. არ შეიძლება არ აღინიშნოს, თვითმმართველ ქალაქ ბათუმის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების კეთილგონივრული გადაწყვეტილება, მსგავსი ნაბიჯები ამყარებს მოქალაქეების ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ.

აჭარაში მიმდინარე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა

ოფისის ანალიტიკოსის ნათია ზოიძის ინიციატივითა და დაუღალავი შრომის შედეგად, "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" 2014 წლის 21



აგვისტოს, აჭარის მაღალმთიანეთში მასშტაბური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით ვრცელი კვლევა გამოაქვეყნა. ორგანიზაციამ ყურადღება იმ 12 სოფლის მცხოვრებთა საკუთრების უფლების დაცვაზე გაამახვილა, რომელთა ტერიტორიის სიახლოვეს მიმდინარეობს სადგურების მშენებლობა. კვლევის მოსამზადებლად ნათია ზოიძემ თითოეული სოფელი პრაქტიკულად ფეხით მოიარა და ყველა მოსახლის პრობლემას გაეცნო.

ბათუმის ოფისი ამ დრომდე აგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას როგორც ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან, ასევე მშენებელ კომპანიასთან, რათა მაქსიმალურად იქნას დაცული მოსახლეობის ინტერესები.

ანტიკორუფციული კვირეულის ფარგლებში კი, 2014 წლის 5 დეკემბერს, გაიმართა ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებული დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, აჭარის მთავრობის, მშენებელი კომპანიის წარმომადგენლებმა და მაღალმთიანი სოფლების მცხოვრებლებმა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის მონიტორინგი

ბათუმის ოფისი აქტიურად აკვირდება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობას. პერიოდულად აქვეყნებს კვლევის შედეგებს, რომლებიც ეხება საჯარო მოხელეთა ბიზნესინტერესებს, სახელმწიფო შესყიდვებში კორუფციის რისკებს, სწავლობს თანამდებობის პირების მიერ შევსებულ ქონებრივ დეკლარაციებს.

ოფისის ანალიტიკოსები სწავლობენ თვითმმართველობების ბიუჯეტებს, განსაკუთრებით კი სოციალურ პროგრამებს, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოებში გამოცხადებულ საატესტატო-საკონკურსო კომისიის მუშაობას და კონკურსის შედეგებს.

ოფისი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა სამოქალაქო კამპანიის მიმდინარეობაში, ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია კამპანია "ეს შენ გეხება" და ქალთა ძალადობის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციები.

ურთიერთობა ადგილობრივ მედიასაშუალებებთან

2014 წელს ბათუმის ოფისი, წინა წლების მსგავსად, აქტიურად თანამშრომლობდა აჭარაში მოქმედ მედიაორგანიზაციებთან და ნაციონალური მაუწყებლების რეგიონულ ბიუროებთან. ჟურნალისტებთან ინტენსიური კომუნიკაციის შედეგად, ოფისის საქმიანობა აქტიურად შუქდება, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ ელექტრონულ მედიაში. ოფისის ანალიტიკოსებს და იურისტებს ხშირად იწვევენ აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელევიზიის, რადიოს და "ტელეკომპანია 25"-ის გადაცემებში.

ჟურნალისტებთან ასეთი მჭიდრო თანამშრომლობა ერთ-ერთია იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც მიძლიერებენ რწმენას, რომ საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ამაღლება და ადმინისტრაციული ორგანოების ეფექტიანი კონტროლი მხოლოდ ქაღალდზე დაწერილ პრინციპებად არ დარჩება და ადრე თუ გვიან ევროპულ ოჯახში იმ ადგილს დავიმკვიდრებთ, რომლის დაკავებაც არის საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის უმთავრესი მიზანი.

ქუთაისი

თეონა ზაქარაშვილი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოში" ჩემი საქმიანობა 2012 წელს დაიწყო. თავდაპირველად ქუთაისის რეგიონული ოფისის იურისტი ვიყავი, 2014 წლის სექტემბერში კი უკვე ოფისის კოორდინატორი გავხდი. მიუხედავად იმისა, რომ მუშაობის დიდი გამოცდილება მქონდა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოში" საქამიანობა ყველაზე წარმატებულია ჩემ კარიერაში. 2014 წლის ოქტომბერში ოფისს ორი ახალი იურისტი ანი სალდაძე და თამთა კახიძე შემოუერთდნენ.

2014 წლის ჩვენი საქმიანობა იგივე მიზნებს ემსახურებოდა, რასაც წინა წლებში - ბენეფიციარების სამართლებრივი დახმარება, ადგილობრივ თვითმმართველობებში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი, სტუდენტებთან შეხვედრები და მედიასთან მჭიდრო თანამშრომლობა.

სამართლებრივი დახმარების ცენტრი

ქუთაისის ოფისიში აქტიურად ფუნქციონირებს სამართლებრივი დახმარების ცენტრი. მოქალაქეებს ვუწევთ კონსულტაციას მათთვის მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებზე და ამასთანავე ვახორციელებთ წარმომადგენლობას სასამართლოში მათი ინტერესების დასაცავად. 2014 წლის განმავლობაში ქუთაისის ოფისის იურისტების მიერ წარმატებით დასრულდა 26 დავა, მათ შორის 2 საკონსტიტუციო სასამართლოში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩვენს მიერ ორგზის სამსახურში აღდგენილი საჯარო მოხელის სასამართლო დავა, სადაც სასამართლომ კიდევ ერთხელ მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელის სასარგებლოდ და უკანონოდ ცნო მის მიმართ ქუთაისის მერის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, რომლითაც კიდევ ერთხელ მოხდა მისი სამსახურიდან განთავისუფლება.

სამართლებრივი დახმარების ცენტრის ფარგლებში იურიდიული კლინიკით ადგილზე შევისწავლეთ თერჯოლისა და ფოთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ორგანოებიდან განთავისუფლებული საჯარო მოხელეების უფლებების დარღვევის ფაქტები. გავუწიეთ წარმომადგენლობა ფოთის საქალაქო და ზესტაფონის რაიონულ სასამართლოებში. ნაწილი მათგანი უკვე წარმატებით დასრულდა ხოლო რამოდენიმე ჯერ კიდევ სასამართლო წარმოებაშია.

რადიოგადაცემები

მთელი წლის განმავლობაში, თვეში ორჯერ ადგილობრივი რადიო „ძველი ქალაქის" ეთერში გადიოდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" ქუთაისის რეგიონული ოფისის მიერ მომზადებული რადიოგადაცემები სახელწოდებით „გამჭვირვალე პოლიტიკა". ჩვენს მიერ აქტიურად შუქდებოდა ქალაქსა და რეგიონში, ისევე როგორც მთელ საქართველოში მიმდინარე აქტუალური თემები. მოსახლეობას ვაწვდიდით ინფორმაციას როგორც საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს კვლევების შესახებ, ასევე მოწვეული გვყავდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირები, სხვადასხვა სფეროს ექსპერტები და აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები. სწორედ მათთან ერთად ვაანალიზებდით აქტუალურ და მიმდინარე საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო მსმენელთათვის.

საჯარო ლექციები

წლის განმავლობაში აქტიურად ვთანამშრომლობდით როგორც ადგილობრივ უნივერსიტეტებთან, ასევე ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან. საჯარო ლექციების მეშვეობით ვაცნობდით სტუდენტებს როგორც საკანონმდებლო სიახლეებს, ასევე იმ ძირითად უფლებებს, რომელთა მეშვეობითაც მათ შეეძლოთ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ქალაქისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში. ერთ - ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საჯარო ლექცია ეხებოდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის პროცედურებს.

საჯარო შეხვედრები და დისკუსიები

ჩვენი მუშაობის ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობოდა საჯარო შეხვედრებისა და დისკუსიების მოწყობას. განსაკუთრებით აქტუალური ქუთაისის მოსახლეობისათვის იყო შეხვედრა წყლის სისტემის რეაბილიტაციის პროექტის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნულ დისკუსიას ესწრებოდნენ, როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლები, ასევე სამუშაოების მწარმოებელი კომპანიისა და ქუთაისის მერიის პასუხისმგებელი თანამდებობის პირები. მოქალაქეებს ქონდათ შესაძლებლობა მათთვის დაესვათ შეკითხვები პრობლემატურ საკითხებზე და ადგილზე მოესმინათ ინფორმაცია გადაჭრის გზების შესახებ.

ჩვენ მედიაში

შემსრულებელი ორგანიზაცია

IPM GEORGIA

The Institute for Polling & Marketing

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს საინფორმაციო აქტივობის მაჩვენებელი მთელ მედიაში (ტელევიზია, ბეჭდვითი მედია, რადიო, ინტერნეტი)

ობიექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი



პერიოდი: 2014-01-01 - 2014-12-31
სტატიის ტიპი: ინფორმაცია, ინტერვიუ
მედია: ყველა

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს საინფორმაციო განთავსების მაჩვენებელი ტელევიზიაში

ობიექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი



პერიოდი: 2014-01-01 - 2014-12-31
სტატიის ტიპი: ინფორმაცია, ინტერვიუ
მედია: ტელევიზია

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს საინფორმაციო განთავსების მაჩვენებელი რადიოში

ობიექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი

პერიოდი: 2014-01-01 - 2014-12-31
სტატიის ტიპი: ინფორმაცია, ინტერვიუ
მედია: რადიო



საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს საინფორმაციო გამოვლინების შეფასების მაჩვენებელი ტელევიზიაში

ობიექტების შეფასების რაოდენობრივი მაჩვენებელი

პერიოდი: 2014-01-01 - 2014-12-31
სტატიის ტიპი: ინფორმაცია, ინტერვიუ
მედია: ტელევიზია



საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს საინფორმაციო გამოვლინების შეფასების მაჩვენებელი რადიოში

ობიექტის შეფასების რაოდენობრივი მაჩვენებელი

პერიოდი: 2014-01-01 - 2014-12-31
სტატიის ტიპი: ინფორმაცია, ინტერვიუ
მედია: რადიო



კარიერა

2014 წლის განმავლობაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებს შორის იყო ვაკანსიები მმართველი მენეჯმენტის, ფინანსური, ანალიტიკური და იურიდიული მიმართულებების სამუშაო პოზიციებზე. ამ პროცესში რეკრუტინგის ღია და გამჭვირვალე სისტემა დაინტერესებულ პირებს ორგანიზაციაში მუშაობის დაწყების და კარიერის განვითარების თანაბარ შესაძლებლობას აძლევდა. კერძოდ, კანდიდატებს რამდენიმე ეტაპიანი რეკრუტინგის წარმატებით გავლის შემთხვევაში ეძლეოდათ თანაბარი შესაძლებლობა დაეწყოთ მუშაობა ორგანიზაციის თბილისის და რეგიონული წარმომადგენლობების ოფისებში. ამასთან, პროფესიული მომზადების და კარიერული განვითარების თანამედროვე სისტემა თითეოულ თანამშრომელს აძლევს შესაძლებლობას აიმაღლოს კვალიფიკაცია და გაირაოს სხვადასხვა სასერთიფიკატო კურსი თუ ტრენინგი როგორც საქართველოს წამყვან სასწავლო დაწესებულებებში ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ორგანიზაციის სტაჟირების პროგრამა, რომელიც წლის განმავლობაში რამდენჯერმე ცხადდება სხვადასხვა მიმართულებებით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შერჩეული ახალგაზრდები სტაჟირების გადიან ორგანიზაციის თბილისის, რეგიონული წარმომადგენლობების და საპარლამენტო ოფისებში. ასევე, სტაჟირების პროგრამა მოიცავს სასამართლო მონიტორინგის და ადგილობრივი თვითთმართველობების მონიტორინგის პროექტების ფარლებში სტაჟირებას. ამ პროცესში, წარმატებულ და გამორჩეულ სტაჟიორებს ეძლევათ შესაძლებლობა დაიწყონ პროფესიული კარიერა ორგანიზაციაში სხვადასხვა სამუშაო პოზიციებზე.

2014 წლის დონორები

- შვედეთის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო (Sida)
- აღმოსავლეთ – დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI),
  აშშ – ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით
- საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX) / USAID
- საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი IFES,
  აშშ – ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით
- ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“
- ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში
- საერთაშორისო გამჭვირვალობის სამდივნო ევროკომისიის მხარდაჭერით
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – სლოვაკეთი“ სლოვაკეთის დახმარების (SLOVAK AID) მხარდაჭერით
- შარეკი

ფინანსური მონაცემები

დანახარჯები (ლარში)



შემოსავლები წლების მიხედვით (ლარში)

ჯამში	10 515 531,35	ლარი	6 206 148,04	აშშ დოლარი



დონორები



SWEDEN

ანგარიში დაიბეჭდა შვედეთის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (Sida)
ფინანსური მხარდაჭერით

საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

თბილისი
2015

თბილისი
2015